დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს „ევროპული სკოლა“

შეფასების თარიღ(ებ)ი - 15.12.2022 წ

დასკვნის წარდგენის თარიღი - 24/01/2023 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**ევროპული სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 205172917

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქალაქი თბილისი**
იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ირინე სხირტლაძის ქ., № 2 ქ.თბილისი ქუთათელაძის ქ. N10, N10ა და N10ბ.
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ირინე სხირტლაძის ქ., № 2 ქ.თბილისი ქუთათელაძის ქ. N10, N10ა და N10ბ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საფოსტო ინდექსი	0177
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.europeanschool.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	info@europeanschool.ge
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 32 239 59 64; (+995) 32 214 15 16;
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**სოფიო ბაზაძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599 27 24 47
ელ-ფოსტა	s.bazadze@europeanschool.ge

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება MES 2 22 0001520258
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15.12.2022
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ხათუნა ბარაბაძე
წევრი (სახელი, გვარი)	ირმა ხუციშვილი

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		მუხლი / პუნქტი		
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი 3)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი 3. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის,	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი ხუციშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას			

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი		

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.6.გ)*	მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ რადგან სკოლის მეორე შენობა განთავსებულია სხვა მისამართზე, სადაც განთავსდება სავარაუდოდ 600 მოსწავლემდე, სასურველია სკოლამ დამატებით აიყვანოს ექიმი., რადგან მეორე შენობაში, სადაც 1200 მოსწავლე იქნება განთავსებული, აუცილებლობა წარმოიქმნება როგორც ექიმის, ასევე ექთნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		მომსახურებისაც. ხოლო მეორე შენობაში - კი ექიმის მომსახურების.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი		

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	**სკოლაში მუშაობს ციფრული ტრანსფორმაციის კომიტეტი** რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს პროგრამის განხორციელებას. კომიტეტში გაერთიანებულია დეპარტამენტის ხელმძღვანელები და სკოლის IT ჯგუფის წარმომადგენლები. კომიტეტის მუშაობა სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს: • ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში; • პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარება; • ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოება; უახლესი კომპიუტერული ინფრასტრუქტურა არა მხოლოდ უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების ეფექტურ კომუნიკაციას და თანამშრომლობას, არამედ წარმოადგენს ძლიერ სასწავლო ინსტრუმენტს სკოლის მიზნების მისაღწევად. **სასწავლო პროცესში ინტენსიურად გამოიყენება უახლესი ტექნოლოგიები:** • ციფრული სასწავლო სივრცეები; • კომპიუტერული მოწყობილობები კლასში - BYOD (bring your own device)პროგრამა; • რობოტები: Nao და Pepper სასწავლო პროცესში; • სასწავლო პროცესში STEAM კომპონენტების ინტეგირირება; • FabLab სასწავლო პროცესში; • მომავლის პროფესიების სწავლება I-X კლასებში; • ელექტრონული დღიური სასწავლო პროცესში; • Microsoft და Google სასწავლო პროცესში; • პერსონალიზირებული სწავლა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში და თავად ქმნიან ინოვაციურ პროდუქტებს. ევროპული სკოლა, საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს IB პროგრამას, ხოლო ქართული, ავტორიზებული სკოლის ფარგლებში კი - აკრედიტებულ AHS პროგრამას. უფროსკლასელი მოსწავლეების მხარდასაჭერად სკოლაში შექმნილია საუნივერსიტეტო მრჩეველის ინსტიტუტი. IX-XII კლასის მოსწავლეებისთვის ტარდება რეგულარული შეხვედრები სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეები იწყებენ საუნივერსიტეტო კარიერის დაგეგმვას, რაშიც მათ ხელმძღვანელობას საერთაშორისო და საქართველოს საუნივერსიტეტო განათლების კვალიფიციური მრჩევლები უწევენ. საუნივერსიტეტო ორიენტაციის სამსახური ეხმარება სკოლის მოსწავლეებს მსოფლიოსა და საქართველოს უნივერსიტეტებში მოხვედრასა და დაფინანსების მიღებაში. სკოლის წარმატებული მოსწავლეები აქტიურად სარგებლობენ სტიპენდიებისა და საგრანტო სისტემით. კონკურსი: "ყველაზე მედიაწიგნიერი სკოლა 2022" კონკურსი ორგანიზებული იყო პროექტის “მედიაწიგნიერი სკოლები საზოგადოების მედეგობისთვის საქართველოში” ფარგლებში, რომლის მიზანი იყო სკოლებში კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობითა და მედიაწიგნიერების კომპეტენციების განვითარების გზით საზოგადოების მედეგობის გაძლიერება. 14 დეკემბერს სასტუმრო „რუმსში” მედიის განვითარების ფონდის (MDF) ორგანიზებითა და ნატოს სახალხო დიპლომატიის ოფისის მხარდაჭერით, The Critical Mass LLC-ისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გაიმართა 2022 წლის კონკურსის „ყველაზე მედიაწიგნიერი სკოლა“ დაჯილდოების ცერემონია. ევროპული სკოლის ორმა გუნდმა მოიპოვა პირველი ადგილი. პროექტი #1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროექტის სახელწოდება: ტროლების ღამე გუნდის სახელი: სიმართლის მაძიებლები გუნდის წევრები: 3 მოსწავლე (MYP 10 კლასი) და 2 მასწავლებელი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან შემდგარმა გუნდმა შექმა სამაგიდო თამაში, რომლის მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს მედიაწიგნიერების ისეთი უნარები როგორებიცაა წყაროს სანდოობის დადგენა. მოცემული სამაგიდო თამაში იქნება დამხმარე რესურსი მასწავლებლებისთვის, რომ მოსწავლეებს სახალისო გზით განუვითაროს ეს უნარი. სამაგიდო თამაში შექმნილია, ე.წ "მაფიის ღამის" ანალოგზე. რა თქმა უნდა შეცვლილია როლები, თამაშის წესები, მიზანი და დანიშულება. თამაშში არის ორი როლი - მკვლევარი, რომელის დანიშულებაა დაადგინოს წყაროს სანდოობა, და ტროლი რომელიც ცდილობს ხელი შეუშალოს მას ისე, რომ ვერავინ მიხვდეს მის მიზანს. მოსწავლეებმა და მასწავლებლმა იმუშავეს როგორც შინაარსობრივ, ასევე ვიზუალურ მხარეზე. შეიქმნა ბარათების დიზაინი, ინსტრუქცია, ასევე სკოლის FABLAB-ში დამზადდათამაშის პროტოტიპი. პროექტი #2 პროექტის სახელწოდება: SmartOwl2023 გუნდის სახელი: SmartOwl2023 გუნდის წევრები: 4 მოსწავლე (AP CS A მოსწავლე, XII კლასი) და ერთი მასწავლებელი პროექტის მიხედვით გუნდის წევრები, AHS მე-12 კლასის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ კომპიუტერულ მეცნიერებებს, როგორც AP საგანს, შექმნიან კომპიუტერულ თამაშს SmartOwl2023 (JAVA OOP-ს გამოყენებით). მხიარული, საინტერესო და ინტერაქტიული თამაშის შექმნის დროს მოსწავლეები გაიუმჯობესებენ პროგრამირების უნარებს და მიიღებენ სოფტის შექმნის გამოცდილებას. თამაშში მონაწილეობს პერსონაჟი „ჭკვიანი ბუ“ - SmartOwl2023, რომელიც დაფრინავს სკოლის ლაბორატორიებში და მოსწავლეს ეხმარება მოძებნოს დამალული შეკითხვები. თითოეული შეკითხვა (კითხვა და 4 სავარაუდო პასუხი) მედიაწიგნიერების უნარების განვითარებას ეხება. კითხვები განაწილებული იქნება ასაკობრივი ჯგუფის და სირთულის/დონეების მიხედვით. კითხვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეგროვება სკოლის პედაგოგების დახმარებით მოხდება. ყოველი შეკითხვის შემდეგ მოსწავლეს პროგრამა ანიჭებს ქულას და საბოლოოდ, მედალს. თამაშს დაწყებითი და საბაზო სკოლის მოსწავლეები გამოიყენებენ, რომლის დახმარებით გაიუმჯობესებენ მედია და ინფორმაციული წიგნიერების უნარებს, გახდებიან უფრო კრიტიკული მოაზროვნეები. თამაში შეიძლება მოსწავლემ ითამაშოს ლაბორატორიაში, კლასში ან სახლში. გეიმიფიკაცია ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია თანამედროვე სწავლა-სწავლებაში. ამიტომ პროექტის ავტორები თვლიან, რომ მათ მიერ შექმნილი თამაში საინტერესო, მიმზიდველი და საჭირო ინსტრუმენტი გახდება სკოლის პედაგოგებისთვის.

დაწესებულების მისია	„ევროპული სკოლა“ მოსწავლეებს სთავაზობს საუკეთესო განათლებას მზრუნველ და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოში, აძლევს შესაძლებლობას, მიაღწიონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს და გახდნენ ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეები. სკოლის ღირებულებები: ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია „ევროპული სკოლის“ ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ: • ინოვაციის გზით სვლა; • სწრაფვა სრულყოფილებისკენ; • განვითარება სწავლის საშუალებით; • გლობალური მოქალაქეობა. ამ ძირეული ღირებულებებით ჩვენ წავახალისებთ დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევთ, გაითავისონ პასუხისმგებლობა. „ევროპულ სკოლაში“ სწავლობენ მრავალფეროვანი კულტურის დაფასებას მისი მიღებითა და ტოლერანტობით. ეს მოსწავლეებს ეხმარება, გახდნენ მსოფლიო მოქალაქეები. ჩვენ ვიღწვით, რათა: • შევქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლის გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლეები ინტელექტუალურად, შემოქმედებითად, სოციალურად, ფიზიკურად და ეთიკურად ქართულ კულტურასთან ჰარმონიაში; • ყურადღება გავამახვილოთ აკადემიურ სრულყოფილებასა და კეთილსინდისიერებაზე; • ხელი შევუწყოთ მუდმივად ცოდნის მაძიებლების ჩამოყალიბებას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა:	**ექსპერტი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

----1800---------	**ექსპერტი არ ეთანხმება** ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

2
2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ევროპული სკოლა ს.კ 205172917 მდებარეობს ქ, თბილისი, ვაკის რაიონი , ირინე სხირტლაძის ქ#2. და ქ.თბილისი ქუთათელაძის ქ. N10, N10ა და N10ბ. სკოლა საქმიანობას ახორციელებს ორ მისამართზე. სკოლის პირველი მისამართზე განთავსებული შენობის საერთო ფართი არის 16310 კვ,მ. სკოლის შენობა ექვს სართულიანია. სულ სკოლის შენობის ექვს სართულზე მდებარეობს - 64 საკლასო ოთახი. მეორე მისამართზე, შპს ,,ევროპულ სკოლის'' აღნიშნული შენობა სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის/იჯარის უფლებით 10 წლის ვადით შპს „მეცნიერების“ მიერ საერთო ფართით: (01.14.03.042. 425) შენობა -ნაგებობა #1-#8 - 6888.39 და (01.14.03.042. 199)შენობა-ნაგებობა #1,2,3 – 1724.72 კვ.მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღსანიშნავია, რომ ქუთათელაძის ქ#10-ში არსებულმა შენობებმა, განიცადეს სრული რეკონსტრუქცია. შედგენილია პროექტის გეგმა და დასრულებულია ყველა სამუშაო, რაც შენობის კეთილმოწყობასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული, თუმცა შენობის პროექტთან შესაბამისობა ჯერ არ არის დადგენილი, რადგან ჩაბარების პროცესშია.
.	1. საქართველო, თბილისი, ირინე სხირტლაძის ქუჩა N2 2. საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა N10 და N10ბ 3. საქართველო, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა N10ა
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	1. N01,14,03,042,426 – 9948,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 10 909,5 კვ.მ შენობა ნაგებობა 2. N01.14.03.042.425 – 7196,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 3596,55 და 3291,84 კვ.მ შენობა ნაგებობა 3. N01.14.03.042.199 – 691,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 1724,72 კვ.მ შენობა ნაგებობა
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• საჯარო რეესტრის ამონაწერი; • სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზუალური დათვალიერებით და აზომვითი ნახაზების მიხედვით, სხირტლაძის ქ #2 -ში არის 64 საკლასო ოთახი. გარდა ამისა, არის 22 ადმინისტრაციული ოფისი, 2 სპორტული დარბაზი, ფეხბურთის მოედანი და ჩოგბურთის ღია კორტი. სააქტო დარბაზი, 2 საკონფერენციო ოთახი, 2 ბიბლიოთეკა, 3 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ლეგოს და ,,SMART''-ის კლასები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	Mac-ლაბორატორიის კლასი, კომპიუტერით პროგრამირებადი დანადგარებით აღჭურვილი სივრცე - FabLab, STEM-ის მიმართულების პრაქტიკული პროდუქტების შექმნის ნაწილი, 4 კომპიუტერული კლასი, 3 ხელოვნების სტუდია, 1 ტიპოგრაფია, სკოლის TV სტუდია, 2 მუსიკის ოთახი, 6 გასახდელი ოთახი(მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის), 1 ინგლისური კლუბის ოთახი და მულტიმედია ლაბორატორია. 1 ლოგოპედის ოთახი, 2 ფსიქოლოგის ოთახი, 1 სამედიცინო კაბინეტი. საკლასო ოთახები კეთილმოწყობილია, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. საკლასო ოთახებში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, რაც აკმაყოფილებს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფის მოთხოვნებს, ასევე, არის მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფები, კარადები და სხვა საჭირო ინვენტარი. საკლასო ოთახებში გამოკრულია სხვადასხვა თვალსაჩინოება, რუკები, პოსტერები და მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლას მერხებისა და სკამების ფლობის დოკუმენტაციით აქვს 1377 ინდივიდუალური მერხი და სკამი. აქედან 244 არის დასაწყობებული. ასევე არის 265 კომპიუტერი, 100 ლეპტოპი, 48 პრინტერი, Smart დაფა 40, Tablet PC 13 ცალი, პროექტორი 80 ცალი, Smart board table 2 ცალი. სკოლის ახალ შენობაში (ქუთათელაძის ქ #10) განთავსებულია 37 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილია საკლასო ინვენტარით. დამონტაჟებულია ინტერაქტიული დაფები, ვებ-კამერები, პრინტერები და კომპიუტერები. საკლასო ოთახებში განთავსებულია 600 მოსწავლისთვის განკუთვნილი სასკოლო მერხი და სკამი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • შიდა-აზომვითი ნახაზით; • მერხებისა და სკამების ნასყიდობის ხელშეკრულება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს,, ევროპული სკოლის'' ეზოში არის კეთილმოწყობილი ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი და ჩოგბურთის ღია კორტი. ასევე ,სკოლის შენობის ნულოვან და პირველ სართულებზე განთავსებულია ორი სპორტული დარბაზი. სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად სკოლას აქვს ყველა შესაბამისი და მრავალფეროვანი რესურსი. სკოლის ახალ შენობაში განთავსდებიან საერთაშორისო სადიპლომო პროგრამის და ამერიკული უმაღლესი სკოლის პროგრამის მოსწავლეები. სპორტის გაკვეთილები უტარდებათ მხოლოდ ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეებს და შესაბამისად ისინი ისარგებლებენ სკოლის ძირითადი (ძველი) შენობის სპორტული ინფრასტრუქტურით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს IT ლაბორატორიები, რომელიც განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. აღნიშნულ ლაბორატორიებში მუშაობა შესაძლებელია ოფიციალურ MS Windows, ასევე Mac OS ოპერაციულ სისტემასთან. Smart Kid-ის ლაბორატორია კი განკუთვნილია დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის. ასევე სკოლას აქვს 3 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია - ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის და Mac ლაბორატორიის კლასი. ლაბორატორიები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება N572 -ით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე დამტკიცებული რეკომენდაციების'' შესაბამისად აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიისათვის საჭირო მაგიდებით, გამწოვით და სხვა ინვენტარით, რომელიც საჭიროებისამებრ ივსება შესაბამისი მასალით და რეაქტივებით. სკოლაში არის კომპიუტერით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროგრამირებადი დანადგარით აღჭურვილი სივრცე FabLab, რომელიც აღჭურვილია 3D პრინტერით, ინდუსტრიული რობოტის ხელით, პროგრამირებადი ჩარხით, ეკოსოლვენტური პრინტერით, ლაზერული მჭრელით, UV პრინტერიით, ვაკუუმფორმირების აპარატით, ციფრული საქარგავი და საკერავი აპარატით. სკოლის ახალ შენობაში ფუნქციონირებს ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის ლაბორატორიები. ლაბორატორიები აღჭურვილი უახლესი ტექნოლოგიებით და რესურსებით. მოწყობილია სპეციალური სადემონსტრაციო მაგიდები. დამონტაჟებულია გამწოვი კარადები, ონკანები, ნიჟარები, შტატივები და სხვა სათანადო ინვენტარი. ლაბორატორიისთვის შეძენილია შესაბამისი რეაქტივები. ლაბორატორიებში ექსპერიმენტის ჩატარებისას ზედმიწევნითაა დაცული უსაფრთხოების წესები.
ნი,მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ევროპული სკოლის'' ლაბორატორიების სახელმძღვანელო პრინციპების და რეგულაციები. • ვიზუალური დათვალიერება; • ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • გასაუბრება სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან. • ტექნოლოგიური გეგმა • ელ. უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი'
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო დაწესებულებაში არსებობს ელექტროენერგიის მიღების უწყვეტი სისტემა. გარდა ამისა, სკოლას შეძენილი აქვს დიზელ-გენერატორი, რაც უზრუნველყოფს სკოლას ავტონომიური ელექტროენერგიით. სკოლის საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლის შენობის ექვსივე სართულზე არის სველი წერტილები, ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის, ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პერსონალისათვის. დაცულია სანიტარული ნორმები, სველი წერტილები აღჭურვილია ქაღალდით, თხევადი საპნითა და ხელსახოცებით. ერთი საპირფარეშო ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის ახალ შენობაში სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის შექმნილია აუცილებელი გარემო. საკლასო ოთახები არის ბუნებრივი განათებით. სკოლის შენობა აღჭურვილია თანამედროვე სისტემის ცენტრალური გათბობის სისტემით, ცივი და ცხელი წყალგაყვანილობით და კანალიზაციით. მოქმედებს 26 საპირფარეშო ოთახი, ცაკლე გოგონებისა და ვაჟებისთვის. აქედან 16 ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეებისთვის. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია 19 ცალი წყლის შადრევანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • დიზელ გენერატორის ნასყიდობის ხელშეკრულება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ევროპული სკოლის'' ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მოსწავლეებს, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტორნული რესურსებით. სკოლაში არის დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურის ბიბლიოთეკები, სადაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის და საგნობრივი პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდი, რომელიც შინაარსობრივად ძალიან მრავალფეროვანია, მოიცავს მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობისა და სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკებში განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია საინვენტარო წიგნსა და ელექტრონულად ექსელის ფაილში. ბიბლიოთეკაში სრულადაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები ყველა კლასისთვის. თვალსაჩინოდაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოკრული ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, სარგებლობის წესი,, სულ ორივე ბიბლიოთეკაში არის - 7503 წიგნი, აქედან სახელმძღვანელო-891. პერიოდული გამოცემებიდან იღებენ გაზეთს ,,ახალი განათლება'', ,,National Geographic''. ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი ხელმისაწვდომია პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის. ბიბლიოთეკაში ხშირად ტარდება სასკოლო ღონისძიებები და ტრენინგები. სკოლაში არის 3 ბიბლიოთეკარი და ერთი ბიბლიოთეკარის ასისტენტი. ისინი ქმნიან კითხვისა და წიგნით დაინტერესების ატმოსფეროს, ეხმარებიან მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მასალის მოძიებაში. სკოლის ახალ შენობაში (მე-5 სართულზე) განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს მოსწავლეებს ძიებისა და კვლევის პროცესში. დაეხმაროს მათ კრიტიკული აზროვნების, უნარ-ჩვევების განვითარებაში. ბიბლიოთეკა სთავაზობს მოსწავლეებს და მასწავლებლებს მრავალფეროვანი რესურსების ფართო არჩევანს. გაციფროვნებულია სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალები. ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო, კომპიუტერულ და ჯგუფური პროექტების სივრცეებს. იყოფა დაწყებითი საფეხურის, საბაზო და საშუალო საფეხურის ბიბლიოთეკად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ბიბლიოთეკის მუშაობისა და სარგებლობის წესი • ვიზუალური დათვალიერება; • ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის. კერძოდ, სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, არის მოძრავი პანდუსი და სკალამობილის ეტლი. ასევე, არის ადაპტირებული სველი წერტილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი. სკოლაში არის ფსიქოლოგის კაბინეტი. სკოლის ახალი შენობა ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. შენობაში ფუნქციონირებს სამგზავრო ლიფტი, რომელიც სტანდარტთან შესაბამისია. ყველა სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილი საპირფარეშოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუირება; • ინკლუზიური პოლიტიკის დოკუმენტი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული 176 - კომპიუტერი, პრინტერი - 52, პლანშეტი - 16, ლეპტოპი და Net book - 87 , ინტერაქტიული დაფა - 87, საკონფერენციო კამერა - 5, Smart მაგიდა -2, პროექტორი-15, სამი D პრინტერი - 2, გრაფიკული სახატავი პლანშეტი - 30. ასევე სკოლა აღჭურვილია სხვადასხვა ტიპის სკანერით, მასალების ასაკინძი მოწყობილობით. ყველა საკლასო ოთახში არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, მონიტორი. სკოლის ოფიციალური გვერდია Twitter:https://twitter.com/EuropeanSchool სკოლის ვებ გვერდია: https://europeanschool.ge. ამ ვებ გვერდებზე დეტალურად არის ასახული სიახლეები, წარმოდგენილია ფოტო-გალერეა და სკოლაში განხორციელებული პროექტები. სკოლის ვებ გვერდს, ფეისბუქ გვერდებს აქვს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქცია. სკოლას შემუშავებული აქვს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკა. დაწესებულებას ხელშეკრულება ინტერნეტის მიწოდებასთან დაკავშირებით გაფორმებული აქვს კომპანია სს "სილქნეტთან". დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომპიუტერების შეძენის დოკუმენტაციით და ვიზუალური დათვალიერებით ცხადია, რომ სკოლა ზრუნავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აღჭურვასა და განახლებაზე. ახალ შენობაში დამონტაჟებულია დამატებით 110 პერსონალური კომპიუტერი, 10 ლეპტოპი, 12 პრინტერი, 2 პროექტორი. სკოლის ახალი შენობა უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტ კავშირით. ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება; • კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტები; • მომსახურების ხელშეკრულებები;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები, სკოლაში ფუნქციონირებს დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაცია, შენობა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით, თავისი გამოყენების ინსტრუქციით, რომელიც დამუხტულია და ვარგისია გამოყენებისთვის. შენობის ექვსივე სართულზე შესაბამის განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. დერეფნებში გამოკრულია გასასვლელის მიმართულების ისრები და შენობის შესასვლელში საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი „112''. ასევე ,შემუშავებული საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმა სკოლის დირექტორის ბრძანებით N1/2/6 24.01.2022 წელი დამტკიცებულია შპს „ევროპულ სკოლაში“ საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და საევაკუაციო პროცედურები. ასევე დირექტორის ბრძანებით 1/1/69 09.11.2021 წელი განსაზღვრულია შპს „ევროპული სკოლის “ სამედიცინო პოლიტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ახალ შენობაში ფუნქციონირებს დაცვის უსაფრთხოების სამსახური 9 თანამშრომლით. შენობის შედა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 64 ვიდეოთვალი. სკოლა უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექნიზმებით და შესაბამისი ინვენტარით. შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეპი სისტემებით, კვამლაღმომჩენებით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით, 32 ცეცხლმაქრითა და საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სასაქონლო ზედნადები -ცეცხლმაქრების დამუხტვაზე • საევაკუაციო გეგმა • შპს „ევროპული სკოლის“ სამედიცინო პოლიტიკის დოკუმენტი. • შპს „ევროპულ სკოლაში“ საგანგებო სიტუაციებში მოქმედებისა და საევაკუაციო პროცედურები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ექვსივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და გეგმის მიხედვით განლაგებულია ცეცხლმაქრები. ახალ შენობაში თვალსაჩინო ადგილებზე არის გამოკრული ევაკუაციის გეგმები, ცეცხლმაქრის ინსტრუქციები, საევაკუაციო გასასვლელის მაჩვენებლები და სახანძრო ღილაკები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საგანგებო სიტუაციებში მოქმედების და საევაკუაციო პროცედურების დოკუმენტი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი, ბუნებრივი განათებით, კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით კერძოდ: სამედიცინო მაგიდა; სამედიცინო ტახტი, კარადა; ტიხრული შირმა; მაცივარი; საკაცე; ონკანი ნიჟარით ,რომელიც აღჭურვილია თხევადი საპნითა და ხელის ერთჯერადი ხელსახოცებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, რომელიც სისტემატიურად ახლდება. საშტატო განრიგის შესაბამისად სკოლას ჰყავს ერთი ექიმი, ერთი ექთანი, რომლებიც აწარმოებენ სამედიცინო მომსახურეობის აღრიცხვას. სისტემატიურად ამოწმებენ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. სკოლის ახალ შენობაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სადაც მუშაობს ექიმი-პედიატრი. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო აუცილებელი სამედიცინო მოწყობილობებით და მედიკამენტებით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ რადგან სკოლის მეორე შენობა განთავსებულია სხვა მისამართზე, სადაც განთავსდება სავარაუდოდ 600 მოსწავლემდე, სასურველია სკოლამ დამატებით აიყვანოს ექიმი., რადგან მეორე შენობაში, სადაც 1200 მოსწავლე იქნება განთავსებული, აუცილებლობა წარმოიქმნება როგორც ექიმის, ასევე ექთნის მომსახურებისაც. ხოლო მეორე შენობაში - კი ექიმის მომსახურების.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საშტატო განრიგი; • შპს „ევროპული სკოლის “ სამედიცინო პოლიტიკის დოკუმენტი;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს 9 დაცვის თანამშრომელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას ასევე უზრუნველყოფენ კლასის დამრიგებლები, ასისტენტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუირება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის გარე და შიდა პერიმეტრი კონტროლდება 57 ვიდეოკამერით-სკოლას შემუშავებული აქვს დაცვის [უსაფრთხოების] დებულება ასევე, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით[1/2/8-24.01.22წ] ასევე, უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობები.[დირექტორის ბრძანება 1/1/10—10.02.22წ სკოლის კიბის უჯრედები ნაწილობრივ კონტროლდებოდა ვიდეოკამერით, ექსპერტთა ვიზიტის დროს რეკომენდაციის შესაბამისად დამონტაჟდა დამატებით 8 ვიდეოკამერა. სკოლის ახალ შენობაში პერიმეტრზე დამონტაჟებულია 64 სათვალთვალო ვიდეო კამერა, რითაც კონტროლდება მიმდებარე ტერიტორია, ეზო, დერეფნები და კიბის უჯრედები. კერძოდ: გარე პერიმეტრზე - 9 ერთეული ვიდეო კამერა; კიბის უჯრედებში - 13 ერთეული ვიდეო კამერა; დერეფნებში - 37 ერთეული ვიდეო კამერა;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კამერების შესყიდვის ზედნადებები;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს წესდება და შინაგანაწესი. რომელიც მოქმედ კანონმდებლობასთან არის შესაბამისობაში. სკოლის წესდება-დამტკიცებულია ,,ევროპული სკოლის'' კრების 2021 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით .სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ #1/1/93 2021წ 02

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დეკემბრის ბრძანებით-შინაგანაწესის მიზანია დაწესებულების მისიის შესრულების ხელშეწყობა .შინაგანაწესი განსაზღვრავს ბავშვთა უფლებების დაცვას, ინტერესთა კონფლიქტს და კონფიდენციალურობის დაცვას, დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობებს, დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებისა და გათავისუფლების წესს, შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძვლებსა და პროცედურას, ზეგანაკვეთურ სამუშაოს, სამუშაო და დასვენების დროს, მივლინებას, შვებულებას, დისციპლინარული გადაცდომასა და პასუხისმგებლობას, სასკოლო დისციპლინას, მოსწავლეთა წახალისების წესს და ა, შ
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ევროპული სკოლის“ წესდება; • სკოლის შინაგანაწესი; დამტკიცებული დირექტორის #1/1/93 2021წ 02 დეკემბრის ბრძანებით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა2018-2023 წ და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2021-2022 სასწავლო წლისთვის, სადაც გაწერილია მიზნებიდან გამომდინარე სტრატეგიული ამოცანები. მისია და საერთო კონცეფცია პირდაპირ ასახავს სტრატეგიულ გეგმას, რომელიც წარმოადგენს სკოლის მთავარ მიზნებს, და ხელს უწყობს აღნიშნული ხედვის განხორციელებას. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია მიზანი, სამოქმედო ზომები, შეფასება/წარმატების ინდიკატორები- დროის მითითებით. სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიზნებია; მოსწავლის წარმატება, სწავლა-სწავლება, გლობალური განათლება, ტექნოლოგიები, გარე პროფილი, ადამიანური რესურსი, ინფრასტრუქტურა და რესურსები. სტრატეგიული გეგმა უზრუნველყოფს ევროპული სკოლის აკადემიურ ძლიერ მხარეს. გეგმა ასევე მართავს რესურსების განაწილებას. რაც შეეხება ერთწლიან სამოქმედო გეგმას, შემუშავებულია სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად, გაწერილია მიზნები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ღონისძიებები, მიღწევის თარიღი, მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი პირები და მიზნის მიღწევის, პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები. გეგმაში ასახულია ციფრული სწავლებისა და სწავლის მხარდაჭერა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის შექმნა და მხარდაჭერა სასწავლო გეგმაში ტექნოლოგიების ინტეგრირება და ა. შ
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,,ევროპული სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა შპს ,,ევროპული სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ევროპულ სკოლაში'' არსებობს საქმისწარმოების ერთიანი წესი, დამტკიცებული დირექტორის 2017წლის #1-1ბრძანებით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. საქმისწარმოება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად. სკოლაში არსებობს გამოცემული ბრძანებების , შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და აღრიცხვა. საერთო და საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები, სადაც ტარდება ყველა გამოცემული აქტი. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. შემოსული და გასული კორესპონდენციები აღირიცხება კალენდარული წლის მიხედვით. დოკუმენტაცია ფორმდება სპეციალურ სკოლის ბლანკზე, რაზეც მითითებულია სკოლის დასახელება, მისამართი და ც საკონტაქტო ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი. ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • შემოსული და გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი. • საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	განხორციელდეს ექიმის 1 ერთეულის დამატება
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს 300 ზე მეტი თანამშრომელი, აქედან 159 მასწავლებელია. მათი განათლების ცენზი და მომზადების დონე სრულად პასუხობს მოთხოვნებს და იძლევა საშუალებას სრულყოფილად განხორციელდეს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი. პედაგოგიურ შემადგენლობაშია 31 მეცნიერებათა დოქტორი; 11 პროფესორი; 19 მასწავლებელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მინიჭებული ტრენერის სტატუსით (სწავლების თანამედროვე მეთოდიკა); 13 პედაგოგი CELTA საერთაშორისო სერთიფიკატით; 11 პედაგოგი IB (საერთაშორისო ბაკალავრიატი) საერთაშორისო გამსწორებელი; 8 სახელმძღვანელოს ავტორი. შპს „ევროპული სკოლის“ საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი და ადმინისტრაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მენეჯერი. შექმნილია სტრუქტურული ერთეულები: მიღების ადმინისტრირების, მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახური; ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; მოსწავლეთა დახმარების ცენტრი; მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური; საუნივერსიტეტო განათლების მრჩეველთა ოფისი; ტექნიკური მხარდაჭერის ცენტრი (IT სამსახური); ბიბლიოთეკა; დაცვის სამსახური; ტექნიკური და დასუფთავების სამსახურები; სასადილო და სხვ. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია სკოლის შესაბამის დებულებებში. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თანამშრომლებთან გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებები და შექმნილია პერსონალური პირადი საქმეები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პირადი საქმეები; • შრომითი ხელშეკრულებები; • სკოლის სტრუქტურა; • საშტატო განრიგი; • სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • საათობრივი ბადე.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**159**
მოწვეული/მაძიებელი/უსტატუსო	**99 (ამერიკულ პროგრამაზე და IB)**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	**0**
უფროსი მასწავლებლი	**51**
წამყვანი მასწავლებლი	**8**
მენტორის სტატუსი	**1**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს შემუშავებული მასწავლებელთა მიღების წესი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის #174/ნ ბრძანებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვებ-გვერდზე განთავსებულ ვაკანსიებზე ინფორმაცია; • ვაკანსიის გამოცხადების ინვოისები; • თანამშრომელთა ხელშეკრულებები; • საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება; • საკონკურსო კომისიის ოქმები; • მასწავლებლის სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების, სტატუსის მინიჭებისა და შენარჩუნების წესი; • პროფესიული განვითარების წესი
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ახალი თანამშრომლის შერჩევის პროცესს კოორდინაციას უწევს და მართავს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. ახალი თანამშრომლის მოზიდვის, შერჩევისა და ორიენტაციის წესის შესაბამისად, სადაც გაწერილია ეტაპები: 1, შერჩევის პირველ ეტაპზე იქმნება ვაკანსიის განაცხადი, რომელშიც განსაზღვრულია ვაკანტური პოზიციის მოვალეობები, მუშაობის გრაფიკი, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვა აუცილებელი/საჭირო ინფორმაცია. ვაკანსიის გამოცხადება ხდება საჯაროდ, Teacherjob.ge -ზე. შემდგომ ხდება კანდიდატების მიერ წარდგენილი რეზიუმეების გადარჩევა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება; 3. შერჩევის პროცესი ითვალისწინებს საჩვენებელი/დემო გაკვეთილის ჩატარებას (მასწავლებლის ვაკანსიის შემთხვევაში); 4. კონკურსის შედეგების განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღება სკოლის შინაგანაწესში გაწერილია შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები. შინაგანაწესი და ბენეფიტების პოლიტიკის დოკუმენტი. მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს, აგრეთვე, წახალისების ფორმებს. სკოლის შინაგანაწესის VIII თავით განსაზღვრულია თანამშრომლის დისციპლინური გადაცდომის და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება, რომელიც ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია შეიქმნას დისციპლინური გადაცდომის საკითხის შესწავლის მიზნით. სკოლაში დამტკიცებულია და მოქმედებს თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი, პერსონალის სახელმძღვანელო პრინციპები და რეგულაციების პოლიტიკის დოკუმენტი, მასწავლებლების სახელმძღვანელო, ელექტრონული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების პოლიტიკის დოკუმენტი, პროგრამების გზამკვლევები. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. აღნიშნული წესები ასევე ასახულია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული წესების გამჭვირვალობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ახალი თანამშრომლის მოზიდვის, შერჩევისა და ორიენტაციის წესი; • საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება; • საკონკურსო კომისიის ოქმები; • სკოლის შინაგანაწესი; • გამოცხადებული ვაკანსიების ინვოისები; • კომპენსაციებისა და ბენეფიტების პოლიტიკის დოკუმენტი; • სკოლის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი; • სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ხელშეკრულების ნომერი, ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შვებულების მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები, სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოქმედებს პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი. პროფესიული განვითარების გეგმა იქმნება ყოველწლიურად, პერსონალის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. მოთხოვნილებების იდენტიფიკაცია ხდება წლის განმავლობაში, გაკვეთილებზე დასწრებების, თვითშეფასებების, სხვადასხვა კითხვარების გამოყენებით. სკოლაში მუდმივად წახალისებულია პერსონალის მიერ გამოჩენილი ინიციატივა, იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და ამისათვის გამოყოფილია შესაბამისი ბიუჯეტი. სკოლის თანამშრომლებს წვდომა აქვთ საგნობრივად აუცილებელ ციფრულ რესურსებზეც. წლის მანძილზე მათ უტარდებათ ტრენინგები საჭირო კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად, რომლებსაც შემდეგ გაკვეთილის ჩატარებისას იყენებენ. სასარგებლო პროგრამების/ვებ-გვერდების ჩამონათვალი შედგენილია დეპარტამენტების საჭიროებების მიხედვით. მასწავლებლებს რეგულარულად ეგზავნება ციფრული ტრანსფორმაციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ შედგენილი მასალა, სადაც მოცემულია უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიური საშუალებების აღწერა და მათი გამოყენების ინსტრუქციები. პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, რომელიც თანამშრომლობს სკოლის ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან, რათა დაადგინოს დასაქმებულთა საჭიროებები. იდენტიფიცირებული საჭიროებების მიხედვით გაიწერება ტრენინგების/ვორქშოფების/კურსების გეგმა, რომლებიც შესაძლოა ჩატარდეს სკოლაში, ადგილობრივად, საზღვარგარეთ ან/და ონლაინ. **ინოვაცია მასწავლებლებისთვის** ჰიბრიდულ და ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნა ონლაინ ინსტრუმენტების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით, ამ მიმართულებით ხდება ტრენინგების დაგეგმვა, ჩატარება და პედაგოგების შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მხარდაჭერის უზრუნველყოფა. განსაკუთრებულად გააქტიურდა ტრენინგების ჩატარება დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ. • შემუშავდა მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციის (European Framework for the Digital Competence of Educators) ჩარჩო; • სკოლის მასწავლებლებისთვის შეიქმნა და განხორციელდა პროფესიული განვითარების მოდელი; • დაიგეგმა სწავლების ხარისხის გაზრდა ინოვაციური, ონლაინ, შერეული და პირისპირ სწავლისთვის. • შემუშავდა დიფერენცირებული და პერსონალიზირებული სასწავლო მეთოდიკა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. შპს „ევროპულ სკოლაში“ ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: 1. რობოტების Nao and Pepper გაცნობის ტრენინგები IT დეპარტამენტის პედაგოგებისთვის; 2. Minecraft: Education Edition - ტრენინგები STEAM პედაგოგებისთვის; 3. ტრენინგები პედაგოგებისთვის Microsoft Innovative Educator (MIE) და Microsoft Innovative Educator (MIE) Expert პროგრამის ფარგლებში. სკოლაში ასევე შემუშავებულია მასწავლებლების გარდა, ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის სამუშაოს შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს 3 ეტაპს: • თვითშეფასება; • მენეჯერის შეფასება; • პროფესიული განვითარების დაგეგვმა/განხორციელება. ეს პროცესი სკოლაში ტარდება წელიწადში ერთხელ, შეფასების ფარგლებში ფასდება თანამშრომლის პროფესიული და ქცევითი კომპეტენციები და შესაბამისად დგება მისი განვითარების გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამუშაოს შეფასების წესი, რომელიც ეხება სკოლის თანამშრომლებს; • მასწავლებლის პროფესიული განვითარების, სტატუსის მინიჭების და შენარჩუნების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სამუშაოს შეფასების ფორმები; • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების მონაცემები; • გადახდილი ინვოისები; • CIS კითხვარის ნიმუშები (მშობლის, თანამშრომლის); • ვებ გვერდის მისამართი, სადაც არის ონლაინ რესურსების ბანკი; • ტექნოლოგიური გეგმა; • ციფრული ტრანსფორმაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმები და ანგარიშები; • მასწავლებლის ციფრული კომპეტენციების ჩარჩო დოკუმენტი; • ციფრული ტრანსფორმაციის კომიტეტის მუშაობის ამსახველი მასალა; • მასწავლებლის თვითშეფასების ფორმები; • დეპარტამენტის თვითშეფასების ფორმა
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ზრუნავს დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალებას იძლევა ყველა მასწავლებელმა, მოსწავლემ და კოლექტივის ნებისმიერმა წევრმა თავი დაცულად იგრძნოს, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოვლენას, პასუხისმგებლობის დელეგირებას. სკოლაში მოსწავლეთა და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს, ქცევის წესს არეგულირებს შინაგანაწესი, მასში განსაზღვრულია წახალისებისა და დისციპლინური სახდელის დადების წესი, სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის მახასიათებელი გარემოებები. პასუხისმგებლობის ამაღლებისა და გადანაწილების მიზნით, მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის მართვაში. მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პარლამენტს ხელმძღვანელობს მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე. ამავე მიზანს ემსახურება თითოეულ პროგრამაში არსებული მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან საშუალებებს სკოლის გარეთ, ცხოვრებაში სამომავლოდ საჭირო ლიდერული უნარების განსავითარებლად. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კომიტეტის როლი, მისი მუშაობის სისტემა განისაზღვრება შესაბამისი დებულებით. კომიტეტში გაერთიანებულია ყველა კლასის წარმომადგენელი. სასწავლო გარემოს გასაძლიერებლად და გასამდიდრებლად სკოლა მრავალფეროვან კლასგარეშე აქტივობას სთავაზობს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ სიახლეების დაუფლების სურვილი. ინდივიდუალური თუ ჯგუფური სპორტის სახეობები, ცეკვები, ხელოვნების, უცხოური ენების, რობოტიქსისა და პროგრამირების წრეები – ამ კლუბებში აქტივობები განსხვავებულია მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით და დამოკიდებულია მოზარდთა ინტერესებზე. კლუბებს ხელმძღვანელობენ პროფესიონალი ტრენერები და პედაგოგები. ეს ყოველივე არის მოსწავლეების ნიჭის გამოვლენის საუკეთესო საშუალება. აღსანიშნავია, რომ სკოლაში შექმნილია მასწავლებლის ასისტენტის ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას სწავლის პროცესში და მათ უსაფრთხოებაზე ზრუნვას სკოლაში ყოფნის პერიოდში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს გათავისუფლებული დამრიგებლის ინსტიტუტი. სკოლის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სასკოლო ტელევიზიას, რომელიც სისტემატურად აშუქებს სკოლის ცხოვრებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეების უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენაში, მათი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებაში. სასკოლო ტელევიზიის მიერ ტარდება საბავშვო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი „ოქროს პეპელა“. სკოლაში კეთილგანყობის, ურთიერთპატივისცემისა და დაცულობის ასამაღლებლად შექმნილია მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური, რომლის მიზანია მოსწავლეთა უფლებების დაცვა, მათ ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვა და გარემო პირობებთან ადაპტაციაში ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება. სამსახური აერთიანებს: ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცერს, ფსიქოლოგთა გუნდს, ექიმს, ექთანს და ლოგოპედს. მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა დახმარების ცენტრი, ცენტრის მიზანია ყველა მოსწავლისთვის იყოს შექმნილი თანაბარი გარემო საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსავლენად და წარმატების მისაღწევად. ცენტრში ერთიანდება სწავლის ხელშეწყობის პროგრამა, ინგლისური ენის გაუმჯობესების პროგრამა, მხატვრული კითხვის ინგლისურენოვანი პროგრამა და ევროპული სკოლის ტელევიზია. აღსანიშნავია ფსიქოლოგებთან შეხვედრები, რომლებიც სკოლის თანამშრომლებისათვის, მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის და კურსდამთავრებულთათვის შედგა, პანდემიით გამოწვეული პრობლემების დაძლევაში დასახმარებლად. შპს „ევროპულ სკოლაში“ ყოველი სასწავლო წლის მე-2 სემესტრში ტარდება ,,თვითმმართველობის დღე”, სადაც მოზარდები მაქსიმალურად ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს და ინტერესებს, მათ უვითარდებათ კეთილგანწყობა და პასუხისმგებლობის გრძნობა, სწავლობენ თანამშრომლობას. შექმნილი მშვიდი ატმოსფერო ქმნის მოსწავლეებში უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდას, რაც სასწავლო მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. სკოლაში სისტემატურ ხასიათს ატარებს სხვადასხვა სახის ერთობლივი შემოქმედებითი შეხვედრები და სპორტული შეჯიბრებები. სასწავლო პროცესის დასასრულს სკოლა მასპინძლობს ასამბლეებს, სადაც იკრიბება სკოლის საზოგადოების ყველა რგოლი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მნიშვნელოვან მიღწევებზე აკეთებს აქცენტებს და სიახლეებს აანონსებს. გამოცდებისა და შეფასების ცენტრის რეკომენდაციით 2021 წლის აპრილიდან ევროპული სკოლა ჩაერთო მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამის (PIRLS 2021) ძირითად კვლევის ჩატარებაში. შეფასება ჩატარდება საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IEA) მიერ. კვლევის შედეგები გაანალიზდება და გამოყენებულ იქნება საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება; • ღონისძიებებისა და პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია; • პარლამენტის დებულება; • პარლამენტის შეხვედრების ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• თვითმმართველობის დღის ვიზუალური მასალა; • პარლამენტის არჩევნების ვიზუალური მასალა; • ჩატარებული აქტივობების ვიზუალური მასალა; • ტელევიზიის გადაცემების ჩანაწერები; • მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის პორტფოლიო; • მოსწავლეთა მხარდაჭერის ცენტრის პორტფოლიო
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

X. თანდართული დოკუმენტაცია

(შევსების ადგილი)

თარიღი ----------24/01/2023 წელი
გვერდების რაოდენობა: 39
დანართი ფოტო მასალა

39

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.